# ახალი ჩამოსული ბრძანდებით გერმანიაში?

## ინფორმაცია და რჩევები ბერლინის სკოლების შესახებ

Georgisch

სენატის წარმომადგენელი ინტეგრაციის და მიგრაციის საკითხებში

Senatsverwaltung für Arbeit, Soziales, Gleichstellung, Integration, Vielfalt und Antidiskriminierung

Senatsverwaltung für Bildung, Jugend und Familie

BERLIN

# იმპრესუმი

**გამომცემელი**
**სენატის ადმინისტრაცია განათლების, ახალგაზრდობის და ოჯახის საქმეებში**
Bernhard-Weiß-Straße 6, 10178 Berlin

**სენატის ადმინისტრაცია შრომის, სოციალურ საკითხთა, თანასწორობის, ინტეგრაციის, მრავალფეროვნების და ანტიდისკრიმინაციის საკითხებში**
**ბერლინის სენატის წარმომადგენელი ინტეგრაციის და მიგრაციის საკითხებში**
Potsdamer Straße 65, 10785 Berlin
www.integrationsbeauftragte.berlin.de

**იხილეთ აქტუალური ინფორმაცია ჩვენს საიტზე:**
www.berlin.de/sen/bjf

**ან გამოგვყევით:**
www.twitter.com/senbjf
www.instagram.com/senbildjugfam
www.facebook.com/senbildjugfam
www.youtube.com/senbjf

**რედაქცია**
SenBJF: Elke Biester, I A 1.8; Sibylle Behnes, 05 I Klä SenBJF; Referat ZS I

**დიზაინი**
SenBJF, Referat ZS I

**თარგმნა**
FRANK Publishing GmbH

**ფოტოები**
Annette Koroll, Michael Kuchinke-Hofer, MeinSprossimFokus, Jannette Kneisel,
Getty Images (JGI Jamie Grill, Maskot, Klaus Vedfelt), iStock (Tempura)

**ტირაჟი**
3. გადამუშავებული გამოცემა, 2024 წლის მარტი

ეს ბროშურა ბერლინის რეგიონის საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილია. იგი არაა გაყიდვისთვის გამიზნული და არ შეიძლება მისი  პოლიტიკური პარტიების მიერ სარეკლამო მიზნებით გამოყენება.

**Katharina Günther-Wünsch**
განათლების, მოზარდთა და ოჯახის სენატორი

**Katarina Niewiedzial**
ინტეგრაციის და მიგრაციის უწყების მოხელე

## ძვირფასო მშობლებო,

მოხარული ვართ, მოგესალმოთ თქვენ და თქვენს შვილებს ბერლინში. ბერლინი მსოფლიოსთვის გახსნილი ქალაქია, სადაც განსხვავებული წარმოშობის ადამიანები ცხოვრობენ. ბერლინის სენატი ვალდებულია თითოეულ ბავშვს ადგილი მოუძებნოს სკოლაში. გარდა ამისა ექვს წელზე პატარა ბავშვებისთვის არსებობს საბავშვო ბაღებში მზრუნველობა, რომელიც უკვე ხშირად ორენოვანია. წარმოშობის ენა ამგვარად გერმანულთან ერთად ისწავლება, როგორც ბავშვის ძლიერი მხარე. განსაკუთრებით ბერლინში ახალჩამოსული ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო შესაძლებლობები: საბავშვო ბაღები და სკოლები უზრუნველყოფენ მოწესრიგებულ დღის განრიგს და სოციალურ კონტაქტებს ბავშვებისთვის. ბავშვები იქ სწავლობენ ცხოვრებას და იძენენ მეგობრებს.

ენის ცოდნა გერმანიაში ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია. უცხოეთიდან ჩამოსვლის შემდეგ პირველი კვირების და თვეების განმავლობაში თქვენს ბავშვს შეუძლია იაროს მოსამზადებელ კლასში, სადაც მიზანმიმართულად დაეხმარებიან გერმანული ენის შესწავლაში. აქ მცირე სასწავლო ჯგუფებია და ენის შესწავლა მიზანმიმართულად ხდება. სხვა სასკოლო აქტივობები რა თქმა უნდა ყველა სხვა მოსწავლესთან ერთად ხორციელდება. როგორც კი თქვენი ბავშვი საკმარისად ისწავლის გერმანულს, იგი რეგულარულ კლასში გადავა.

დაწყებითი სკოლის შემდეგ ბერლინის განათლების სისტემა უამრავ შესაძლებლობას იძლევა. თქვენს ბავშვს შეუძლია ინტეგრირებულ საშუალო სკოლაში ან გიმნაზიაში გადავიდეს. იგი სკოლას დაამთავრებს 10–დან 13 წლამდე სასკოლო პერიოდის შემდეგ. ამის შემდეგ მოზარდები იღებენ პროფესიულ განათლებას. ბერლინის მთელი დღის სკოლებში უზრუნველყოფილია ბავშვებზე ზრუნვა 16 საათამდე. მომუშავე მშობლებისთვის ეს დიდი მხარდაჭერაა.

ბერლინის სკოლები უზრუნველყოფენ ყველა ბავშვის მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, ამ ბროშურაში ნახავთ ინფორმაციას ექსკურსიების და საკლასო გასვლების, ისევე როგორც უფასო სადილების შესახებ.

ვიმედოვნებთ, ეს ბროშურა უპასუხებს თქვენს კითხვებს ბერლინის სკოლების შესახებ. თქვენს ბავშვებს ვუსურვებთ სასიამოვნო სწავლების პროცესს და წარმატებებს მათი განათლების პროცესში.

გულითადად მოგესალმებათ



კატარინა გუნტერ–ვუნში  კატარინა ნივიძიალი

# გულითადად მოგესალმებით ბერლინში

ბროშურა შეგიძლიათ ნახოთ ონლაინ სხვადასხვა ენაზე.
იქვე ნახავთ დამატებით ინფორმაციას ლტოლვილებისთვის ისეთ თემებზე,
როგორებიცაა ბავშვთა დაცვა, საბავშვო ბაღები, სკოლა, აბიტურიუმი,
განათლება და პროფესია ბერლინში.

# შინაარსი


| | |
|---|---|
| სავალდებულო სკოლა – რათა ყველამ ისწავლოს | 4 |
| როგორ შეგიძლიათ თქვენი ბავშვის მხარდაჭერა | 6 |
| მთელი დღე სკოლაში – სწავლის და ცხოვრების ადგილი | 8 |
| ყველასთვის თანაბარი შანსები განათლების პაკეტით | 10 |
| მნიშვნელოვანი ნაბიჯები სკოლაში მისვლის წელს | 14 |
| სკოლამდე: თამაშით სწავლა საბავშვო ბაღში | 16 |
| ენის შესავლაში ხელშეწყობა – კარგად მომზადებული სკოლისთვის | 18 |
| სკოლაში გერმანულის სწავლა | 20 |
| ბერლინის საზაფხულო სკოლები ლტოლვილთათვის | 22 |
| მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები | 24 |
| ასე შეუძლიათ მშობლებს სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღება | 26 |
| ბერლინის სასკოლო სისტემა | 28 |
| სხვა რაიონში გადასვლა – სკოლის შეცვლა, კი თუ არა? | 32 |
| მისამართები და კონტაქტები | 36 |

# სავალდებულო სკოლა – რათა ყველამ ისწავლოს

გერმანიაში სკოლა სავალდებულოა. თუკი თქვენი ბავშვი ექვსი წლის ან უფროსია, ის უნდა წავიდეს სკოლაში. სასკოლო ვალდებულება გრძელდება ათი წელი და  მთავრდება უგვიანეს მაშინ, როცა თქვენი ბავშვი 18 წლის გახდება. ამის შემდეგაც თქვენს შვილს აქვს შესაძლებლობა იაროს სკოლაში.

## სასკოლო ვალდებულება ნიშნავს იმასაც, რომ თქვენს ბავშვს არ აქვს გაცდენის უფლება.

თქვენმა ბავშვმა უნდა იაროს სკოლაში მაშინაც, როცა მას ამის სურვილი არ აქვს, ან როცა მან ოფიციალურ უწყებებში თქვენთვის  უნდა თარგმნოს, ან უმცროს და–ძმას უნდა მიხედოს.

## თქვენი ბავშვი ავადაა და არ შეუძლია სკოლაში მისვლა?

მაშინ დარეკეთ იმავე დღეს სკოლის სამდივნოში და გააფრთხილეთ. ამასთანავე თქვენ უნდა დაწეროთ ახსნა–განმარტება. ეს არაუგვიანეს სამი დღის შემდეგ სკოლაში უნდა იყოს.

## თუ თქვენი ბავშვი უმიზეზოდ გააცდენს, სკოლა მოითხოვს თქვენთან საუბარს.

ამასთანავე შესაბამისი შენიშვნა ჩაიწერება ატესტატში ან სასწავლო რეპორტში. თუ თქვენი ბავშვი ხშირად მიზეზის გარეშე გააცდენს, შესაძლოა ჯარიმა დაგეკისროთ.

# როგორ შეგიძლიათ თქვენი ბავშვის მხარდაჭერა

**პრინციპულად მნიშვნელოვანია გერმანულ სკოლებში: თქვენ როგორც მშობელი საჭირო ხართ! თქვენ იცნობთ თქვენს ბავშვს ყველაზე კარგად. ისაუბრეთ მასწავლებელთან, თუ თქვენ კითხვები გაქვთ. ამით თქვენ ეხმარებით და მხარს უჭერთ თქვენს ბავშვს. რამდენადაც მეტი იცის მასწავლებელმა თქვენს ბავშვზე, უფრო მეტად შეუძლია მას წაახალისოს იგი.**

### → პუნქტუალურობა

ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენი ბავშვი დროულად ადგეს და დროულად იყოს სკოლაში. თუ თქვენი ოჯახი შორს ცხოვრობს: მოიყვანეთ თქვენი ბავშვი დროულად სკოლაში და ასევე დროულად წაიყვანეთ. როდის იწყება და მთავრდება სასკოლო დღე, თქვენი ბავშვის ცხრილში წერია.

### → ძილი

თქვენს ბავშვს ესაჭიროება საკმარისი ძილი, რათა სწავლისთვის დასვენებული მოვიდეს. განსაკუთრებით დასაწყისი რთულია თქვენი ბავშვისთვის, რადგან გაკვეთილები მის მშობლიურ ენაზე არაა.

### → სასკოლო ჩანთა

ჩაალაგა თქვენმა ბავშვმა სასკოლო ჩანთა? ყველაფერია შიგნით, რაც მას სჭირდება: კალმები, რვეულები, წიგნები, სპორტული ნივთები, საკვები და სასმელი?

### → ტანსაცმელი

ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენს ბავშვს ეცვას ტანსაცმელი, რომელიც წელიწადის დროებს შეესაბამება ზოგიერთ სკოლაში მიღებულია, რომ ბავშვებს ეცვათ სახლის ფეხსაცმელი.

### → სპორტის გაკვეთილი

სპორტის გაკვეთილისთვის შესაბამისი ტანსაცმელი ჩაალაგეთ. ყველა ბავშვმა, გოგოებმაც და ბიჭებმაც, მონაწილეობა უნდა მიიღონ ცურვის და სპორტის გაკვეთილებში.

### → სკოლის გზა

აუხსენით სკოლის გზა თქვენს ბავშვს და ასწავლეთ ყველაზე სახიფათო მონაკვეთები. თქვენს ბავშვს შეუძლია სხვა ბავშვებთან ერთად ჯგუფურად იაროს სკოლაში

## → საუზმე

იზრუნეთ იმაზე, რომ თქვენმა ბავშვმა ისაუზმოს, სანამ სახლიდან გამოვა და თან იქონიოს წასახემსებელი და წყალი.

## → სადილი

1-დან მე-6 კლასამდე სკოლის სადილი უფასოა. მე-7 კლასიდანაც თქვენს ბავშვს შეუძლია უფასოდ ისადილოს, თუ მას ექნება berlinpass-BuT.

## → საშინაო დავალებები

გთხოვთ იზრუნოთ, რომ თქვენმა ბავშვმა ყოველთვის გააკეთოს საშინაო და სასწავლო დავალებები. ამისთვის საჭიროა მას ჰქონდეს წყნარი ადგილი, სადაც ხელის შეშლის გარეშე იმუშავებს. არ არის პრობლემა, თუ თქვენი ბავშვი უცებ ვერ გაიგებს ან გააკეთებს ყველაფერს. ასეთ შემთხვევაში იკითხეთ, შეუძლიათ თუ არა სხვა ბავშვებს ან მასწავლებელებს მისი დახმარება

## → წახალისება და მოვლა

დაწყებით, განსაკუთრებული საჭიროების მქონე, ინტეგრირებულ საშუალო და საზოგადოებრივ სკოლებში გაკვეთილებთან ერთად არსებობს ფართო მხარდაჭერის და მზრუნველობის შეთავაზება გამოცდილი აღმზრდელების მიერ. ეს ძირითადად დღის მეორე ნახევარშია შესაძლებელი. აქ ბავშვებს შეუძლიათ ერთად ითამაშონ, ხელსაქმით, სპორტით, მუსიკით დაკავდნენ ან ექსკურსიაზე წავიდნენ. სასწავლო დავალებების გაკეთებაც აქვეა შესაძლებელი.

# მთელი დღე სკოლაში – სწავლის და ცხოვრების ადგილი

**სკოლების უმეტესობა ბერლინში მთელი დღის სკოლებია. ეს კარგია თქვენთვის და თქვენი ბავშვისთვის: ბავშვი იღებს საჭირო მზრუნველობას და თქვენ გაქვთ დრო ენის კურსებისთვის, პროფესიული განათლებისთვის, სამუშაოსთვის და ა.შ.**

## დაწყებითი სკოლები და სკოლები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის

ღია მთელი დღის სკოლებში 1-დან მე-6 კლასამდე, თქვენი ბავშვები 7:30-დან 13:30 საათამდე მიიღებენ მზრუნველობას მაშინაც, თუ გაკვეთილები უფრო გვიან იწყება ან ადრე მთავრდება.

დატვირთულ მთელი დღის სკოლებში თქვენი ბავშვები 7:30-დან 16:00 საათამდე, კვირაში ოთხი დღის განმავლობაში ვალდებული არიან იმყოფებოდნენ. ამ დროს გაკვეთილების გარდა არის სწავლის და თავისუფალი დროის სხვა ალტერნატივები. ამაში თქვენ არაფერს იხდით.

ყველა ბავშვს შეუძლია მთელი დღის სკოლაში 13:30-დან 16:00 საათამდე მიიღოს დამატებითი მზრუნველობა.

1-დან მე-3 კლასამდე ეს უფასოა. მონაწილეობა შესაძლებელია არდადეგების დროსაც.

მუშაობთ ან სწავლობთ? ამის გამო თქვენ ბავშვს 7:30 საათამდე ან 16:00 საათის შემდეგ სჭირდება მზრუნველობა? ასეთ შემთხვევაშიც შეგიძლიათ განცხადება შეიტანოთ დამატებით მზრუნველობასა და წახალისებაზე. განაცხადის შევსება შესაძლებელია დაწყებით სკოლაში, ახალგაზრდობის უწყებაში ან ონლაინ.

შევსებული განცხადება ჩააბარეთ დაწყებით სკოლაში.

ინფორმაცია მთელი დღის სკოლაზე

დამატებითი წახალისების და მზრუნველობის განაცხადი

## საშუალო სკოლები

საშუალო სკოლებში მთელდღიანი სწავლისთვის სამი ფორმა არსებობს. ესენია ღია, სრულად დატვირთული და ნაწილობრივ დატვირთული.

ღია ნიშნავს, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილების შემდეგ 16:00 საათამდე ნებაყოფლობით დამატებითი შეთავაზებების გამოყენება.

დატვირთული ნიშნავს, რომ სკოლა კვირაში ოთხი დღე **16:00** საათამდე გრძელდება, მეხუთე დღეს კი გაკვეთილების დასრულებამდე დღის განმავლობაში გაკვეთილები და დამატებითი სასწავლო ან თავისუფალი დროის შეთავაზებები ერთმანეთს ენაცვლებიან.

ნაწილობრივ დატვირთული ნიშნავს ორივე ფორმის ნაზავს: ორი დღე დაკავებული და ორი დღე ღია მთელი დღის სკოლა.

## წახალისება და მზრუნველობა

კლასგარეშე და დამატებითი წახალისება და მზრუნველობა თქვენი ბავშვისთვის სხვადასხვა სპორტულ, მუსიკალურ, ხელოვნების და თავისუფალი დროის აქტივობებს მოიცავს.

დამატებით არსებობს მხარდაჭერის და წახალისების ბევრი შესაძლებლობა, როგორიცაა მაგალითად ენის სწავლება ან სასწავლო დავალებებში დახმარება.

სადილის მიღება 1-დან მე-6 კლასამდე უფასო და დატვირთულ მთელდღიან სკოლაში სავალდებულოა. თქვენს ბავშვს საშუალო სკოლაშიც შეუძლია უფასო სადილის მიღება, თუ იგი წარმოადგენს berlinpass-BuT-ს.

# ყველასთვის თანაბარი შანსები განათლების პაკეტით



ყველა ბავშვს და მოზარდს უნდა ჰქონდეს საშუალება მიიღოს კარგი განათლება და შეძლოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა. მცირე შემოსავლის მქონე ოჯახების მხარდაჭერის მიზნით, თქვენთვის არსებობს ფინანსური დახმარება განათლების პაკეტიდან, მაგალითად სასკოლო და თავისუფალი დროის აქტივობებისთვის.

დახმარებას განათლების პაკეტიდან მიიღებთ იმ ადგილზე, სადაც სხვა ფინანსურ დახმარებებზე შეიტანეთ განაცხადი:

- ეს არის ჯობ–ცენტრი, თუ თქვენ მოქალაქეთა დახმარებას  იღებთ.
- ეს არის საცხოვრებელი ფულის უწყება, თუ თქვენ საცხოვრებელ დახმარებას და ბავშვთა დანამატს იღებთ.
- ეს არის სოციალური უწყება, თუ თქვენ სოციალურ დახმარებას იღებთ.
- ეს არის ლტოლვილთა საკითხების რეგიონული უწყება, თუ თქვენ ლტოლვილთა დახმარებას იღებთ.

## განათლების პაკეტი და berlinpass-BuT

განათლების პაკეტიდან დახმარების მისაღებად თქვენ ბავშვს სჭირდება უმეტეს შემთხვევაში berlinpass-BuT. შემოკლება „BuT“ ნიშნავს „განათლებას და თანამონაწილეობას“

ინფორმაცია განათლების პაკეტთან დაკავშირებით

BuT-კონსულტაცია სხვადასხვა ენებზე

# თქვენ მიიღებთ berlinpass-BuT და განათლების პაკეტით

## → სკოლის სადილი

1-დან მე-6 კლასამდე სკოლის სადილი უფასოა მე-7 კლასიდან თქვენ ბავშვს შეუძლია უფასოდ ისადილოს, თუ მას ექნება berlinpass-BuT.

## → სასკოლო საჭიროება

თქვენი ბავშვის პირადი სასკოლო საჭიროებებისთვის, როგორებიცაა კალმები ან სკოლის ჩანთა, თქვენ მიიღებთ 174 ევროს წლიურად.

## → სწავლის წახალისება

სკოლა ამოწმებს, შეუძლია თუ არა თქვენს ბავშვს დამატებითი სწავლის წახალისებით მნიშვნელოვანი სასწავლო მიზნის მიღწევა. ასეთ მიზნებს მიეკუთვნება მაგალითად სკოლის დამთავრება, გიმნაზიის მაღალ საფეხურზე გადასვლა ან გაუმჯობესებული ენობრივი კომპეტენცია.

იკითხეთ სკოლაში თქვენი ბავშვისთვის დამატებითი სასწავლო წახალისების შესაძლებლობის შესახებ.

## → ერთდღიანი ექსკურსიები

თქვენს ბავშვს შეუძლია უფასოდ მიიღოს მონაწილეობა ერთდღიან სასკოლო ღონისძიებებში. ესენი შეიძლება იყოს საკლასო გასვლა, ლაშქრობა, ექსკურსია ან პროექტი. ამისთვის თქვენ სკოლაში დროულად უნდა წარმოადგინოთ berlinpass-BuT. მხოლოდ ჯიბის ფული და საკვები უნდა გადაიხადოთ თქვენ თვითონ.

## → ექსკურსიები

რამდენიმედღიან ექსკურსიებში მონაწილეობა სრულად ფინანსდება. ამისთვის თქვენ იმ უწყებაში, საიდანაც დახმარებას იღებთ, სკოლის მიერ დადასტურებული საბუთი უნდა წარადგინოთ. განაცხადის ფორმა იხილეთ ონლაინ: **www.berlin.de/bildungspaket**

## → კულტურა, სპორტი, თავისუფალი დრო

დახმარების გამცემი უწყება განსაზღვრულად იხდის 15 ევროს თვეში, რათა თქვენმა ბავშვმა სპორტულ, კულტურულ და თავისუფალი დროის სხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღება შეძლოს.




ეს შეიძლება იყოს მუსიკის გაკვეთილი ან აქტივობები სპორტულ კლუბებში, გასართობ დაწესებულებებში და მოზარდთა ჯგუფებში. თუმცა თქვენ ეს უნდა დაამტკიცოთ, მაგალითად წევრობის ან მონაწილეობის საბუთით.

თქვენი ბავშვი ასევე 18 წელზე უმცროსი უნდა იყოს. თქვენ შეგიძლიათ ეს თვიური დახმარება ასევე დაზოგოთ, თუ მაგალითად თქვენს ბავშვს სურს არდადეგების დროს ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.

დამატებით 15 ევროს მიიღებთ სპორტული ტანსაცმლის, ეკიპირების და მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენის ან თხოვების შემთხვევაში, ასევე ამ ღონისძიებებზე გამგზავრების ხარჯებისთვის. გთხოვთ ეს დაამტკიცოთ შესაბამისი საბუთების ან ხარჯთაღრიცხვების მეშვეობით.

## → საზოგადოებრივი ტრანსპორტი

მოსწავლეების სამგზავრო ბარათი ბერლინის ტრანსპორტის AB ზონაში თქვენი ბავშვისთვის უფასოა. სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც ABC ზონაში მგზავრობენ, თქვენი სოციალური დახმარების უწყებიდან აუნაზღაურდებათ სკოლაში სიარულის ხარჯები.

მოსწავლის სამგზავრო ბარათი შეგიძლიათ ონლაინ შეუკვეთოთ. ამისთვის თქვენ უნდა ატვირთოთ თქვენი ბავშვის პასპორტის ფოტო და მოსწავლის მოწმობა.

**მოსწავლის ბარათის აბონირება**

# მნიშვნელოვანი ნაბიჯები სკოლაში მისვლის წელს

## სექტემბერი–ოქტომბერი

### ღია კარის დღე სკოლებში

მშობლებს და ბავშვებს შეუძლიათ სკოლა დაათვალიერონ, კითხვები დასვან და ასევე მასწავლებლები და სხვა მოსწავლეები გაიცნონ.

### სკოლაში ჩაწერა; დამატებითი მზრუნველობა და წახალისება

როცა თქვენს ბავშვს სასკოლო ვალდებულება გაუჩნდება, შესაბამისი სკოლისგან მიიღებთ წერილს. ეს წერილი სკოლაში მიიტანეთ და თქვენი ბავშვი იქ ჩაწერეთ სკოლისთვის, ისევე როგორც დამატებითი მზრუნველობისთვის და წახალისებისთვის.

## ნოემბერი–მაისი

### სკოლის ექიმის გამოკვლევა

სკოლაში მისვლის წინ, თქვენი ბავშვი ექიმის მიერ უნდა იქნას გამოკვლეული. გამოკვლევისას სკოლის ექიმი ადგენს, რამდენად კარგად ესმის, ხედავს, ლაპარაკობს და მოძრაობს თქვენი ბავშვი და რამდენად განვითარებულია გონებრივად და ფიზიკურად.

ბავშვებს, რომლებიც მზად არ არიან სკოლისთვის და საბავშვო ბაღის ადგილი აქვთ, შეუძლიათ სკოლა ერთი წლით გვიან დაიწყონ.

## მაისი

### ინფორმაცია სკოლაში ადგილის შესახებ

თქვენ მიიღებთ წერილს თქვენი ბავშვის მომავალი სკოლისგან.

## მაისი–ივლისი

### საინფორმაციო ღონისძიება მშობლებისთვის

თქვენი ბავშვის სკოლა გიწვევთ მშობელთა საღამოზე. აქ მიიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას სკოლის დაწყებაზე თქვენ აქ გაიცნობთ მასწავლებლებს და სხვა მშობლებს.

## ივლისი–აგვისტო

### სასკოლო ზეიმი

სკოლის პირველი დღის წინა შაბათს, ბავშვები და მშობლები ზეიმობენ სკოლაში მისვლას. გერმანიაში მშობლები ამ დროს თავიანთ შვილებს ხშირად ჩუქნიან სასკოლო ყუთს პატარა სიურპრიზებით.

### სასკოლო წლის დასაწყისი

სკოლის პირველ კვირებში მშობლები და მასწავლებლები ეცნობიან ერთმანეთს. მშობლებისთვის მოეწყობა მშობელთა საღამო.

# სკოლის დაწყების წინ: თამაშით სწავლა საბავშვო ბაღში

ყველა ბავშვს გერმანიაში, რომელსაც სკოლის ვალდებულება ჯერ არ აქვს შეუძლია იაროს საბავშვო ბაღში. ეს უფლება გერმანიაში აქვს ყველა ბავშვს, რომელსაც ერთი წელი შეუსრულდა.

## საბავშვო ბაღში სიარული კარგია თქვენი ბავშვისთვის და თქვენთვის

- თქვენ ბავშვს აქ შეუძლია ითამაშოს სხვა ბავშვებთან, იმოძრაოს, გერმანული და ბევრი სხვა რამ ისწავლოს.
- თქვენი ბავშვი შეიძენს მეგობრებს, გაიცნობს ბერლინს და მოემზადება სკოლისთვის.
- სანამ თქვენს ბავშვზე ბაღში ზრუნავენ, თქვენ გაქვთ დრო ისწავლოთ გერმანული, აითვისოთ პროფესია ან იმუშაოთ.
- საბავშვო ბაღში შეგიძლიათ სხვა ოჯახები გაიცნოთ და კონტაქტები დაამყაროთ.

საბავშვო ბაღი უფასოა.
თქვენ მხოლოდ სადილი უნდა გადაიხადოთ, თუ თქვენს ბავშვს berlinpass-BuT არ აქვს.
→ იხილეთ გვერდები 11 და 12

## საბავშვო ბაღის პოვნა და ვაუჩერზე განცხადების შეტანა

იმისთვის რომ თქვენმა ბავშვმა ბაღში სიარული შეძლოს, თქვენი საცხოვრებელი რაიონის მოზარდთა უწყებაში უნდა შეიტანოთ განცხადება ბაღის ვაუჩერზე.

განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომია მოზარდთა უწყებაში, სოციალურ სამსახურში, საერთო საცხოვრებლებში ან ონლაინ.

ბაღის ვაუჩერზე წერია, როდის და რამდენი ხნით შეუძლია თქვენს ბავშვს ბაღში სიარული. როგორც კი იპოვით საბავშვო ბაღს, რომელსაც თავისუფალი ადგილი აქვს, შეგიძლიათ იქ ვაუჩერი გამოიყენოთ.

## საბავშვო ბაღში ადგილის ძებნა

რადგან ბაღში ადგილი ბევრ ოჯახს ესაჭიროება, ძებნა ადრე უნდა დაიწყოთ. თქვენ შეგიძლიათ ინტერნეტში მოიძიოთ თავისუფალი ადგილები საბავშვო ბაღში. ან შეგიძლიათ მიიღოთ მოზარდთა უწყების რჩევა და დახმარება.

საბავშვო ბაღის ნავიგატორი

# ენის სწავლების წახალისება – კარგი მომზადება სკოლისთვის

18 თვით ადრე, სანამ თქვენი ბავშვი სკოლაში მივა, სპეციალისტები საბავშვო ბაღში დაადგენენ, რამდენად კარგად საუბრობს და ესმის მას გერმანული. თუ ენის ცოდნის დონის დადგენამ გამოავლინა, რომ თქვენს ბავშვს მხარდაჭერა ესაჭიროება, მას საბავშვო ბაღში მიზანმიმართულად დაეხმარებიან.

წინასასკოლო ენის ცოდნის დონის დადგენაში ბერლინში ყველა ბავშვმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეს ეხება იმ ბავშვებსაც, რომლებიც ბაღში არ დადიან. თქვენი რაიონის სასკოლო უწყებისგან მიიღებთ წერილობით მიწვევას მონაწილეობის მისაღებად.

ინფორმაცია ენის სწავლის წახალისების შესახებ სხვადასხვა ენებზე

## გერმანულის სწავლის წახალისება იმ ბავშვებისთვის, რომლებიც არ დადიან ბაღში

თუ დადგინდა, რომ ბავშვი არცთუ ისე კარგად საუბრობს გერმანულად და წახალისება ესაჭიროება, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს სასწავლო კურსში. ამისთვის თქვენ სასკოლო უწყებისგან მიიღებთ ენის წახალისების ვაუჩერს. ამით თქვენს ბავშვს შეუძლია იაროს ენის კურსზე ახლოს მდებარე საბავშვო ბაღში.

კურსი ტარდება ყოველდღიურად, დღეში ხუთი საათის  განმავლობაში და გრძელდება 18 თვე – 1 თებერვლიდან მომდევნო წლის 31 ივლისამდე.

### მნიშვნელოვანია:

ენის წახალისების ვაუჩერი განსხვავდება საბავშვო ბაღის ვაუჩერისგან. ბაღის ვაუჩერით თქვენს ბავშვს შეუძლია როგორც წესი 7 საათის დროით ნებისმიერ ბაღში იყოს.

ენის წახალისების ვაუჩერი შეგიძლიათ მხოლოდ ზოგიერთ საბავშვო ბაღში ან დაწესებულებაში გამოიყენოთ, რომლებიც სკოლამდელ ენის წახალისების პროგრამას  სთავაზობენ აღსაზრდელებს. იქ თქვენს ბავშვზე დღეში ხუთი საათის განმავლობაში იზრუნებენ და მას წაახალისებენ.

ენის წამახალისებელი ჯგუფების სიას მიიღებთ თქვენს მოზარდთა უწყებაში.

## „ადრეული განათლება ადგილზე“ – წახალისება საერთო საცხოვრებლებში

ზოგიერთ საერთო საცხოვრებელში ან ახლომდებარე დაწესებულებაში, ბავშვებს საკუთარი ბინის და საბავშვო ბაღის ადგილის არმქონე ოჯახებიდან შეუძლიათ ნახევარდღიანი შეთავაზება „ადრეული განათლება ადგილზე“ (FBO) გამოიყენონ.

ბაღისთვის ან სკოლისთვის მომზადებისას, თქვენი ბავშვი სწავლობს პატარა ჯგუფებში გერმანულს, შეუძლია ითამაშოს და მეგობრები შეიძინოს.  ადგილზეა ასევე თარგმანის სპეციალისტი. მას შეუძლია საბავშვო ბაღის ადგილის მოძებნაში დაგეხმაროთ.

„ადრეული განათლება ადგილზე“ (FBO) შეთავაზების შესახებ  ინფორმაციას მიიღებთ ბაღის ვაუჩერის გაცემის ადგილზე მოზარდთა უწყებაში. იქვე შეიტანთ განცხადებას „ადრეული განათლება ადგილზე“ (FBO)-სთვის საჭირო ბაღის ვაუჩერზე.

# სკოლაში გერმანულის სწავლა

## მოსამზადებელი კლასები

მოსამზადებელი კლასები არიან სასწავლო ჯგუფები ახალი მოსწავლეებისთვის, რომლებმაც გერმანული არ იციან. ეს კლასები დაეხმარებიან თქვენს ბავშვს, პატარა ჯგუფში რაც შეიძლება სწრაფად ისწავლონ გერმანული და გაეცნონ გერმანულ სასკოლო სისტემას.

თუ თქვენს ბავშვს ჯერ არ უვლია სკოლაში, ან ჯერ არ იცის წერა–კითხვა ან ლათინური ანბანი, მას ამის სწავლა შეუძლია მოსამზადებელ კლასში.

როგორც კი თქვენი ბავშვი საკმარისად ისწავლის გერმანულს, იგი გადაინაცვლებს რეგულარულ კლასში, რომელიც მის ასაკს და ცოდნის დონეს შეესაბამება.

მოსამზადებელ კლასებში ნიშნები არ არის. სანაცვლოდ არსებობს სასწავლო რეპორტები. ასეთ რეპორტს ადგენს მასწავლებელი სასკოლო წლის შუალედში და ბოლოს თითოეული მოსწავლის შესახებ.

რეპორტი ასახავს მოსწავლის პროგრესს გერმანულში, სხვა საგნებში და ასევე სამუშაო და სოციალურ ქცევაში. იქვე წერია რამდენჯერ დაიგვიანა თქვენმა ბავშვმა ან არ იყო გაკვეთილზე – მიზეზით თუ მიზეზგარეშე. რეპორტში არის ასევე რჩევა, უნდა დარჩეს თქვენი ბავშვი სასწავლო ჯგუფში თუ უმჯობესია რეგულარულ კლასში გადავიდეს.

სკოლის დამწყებები სასურველია პირდაპირ რეგულარულ გაკვეთილებზე მივიდნენ სკოლაში. უფროსი ბავშვები როგორც წესიე რთი წელი რჩებიან მოსამზადებელ კლასებში.

ზოგიერთ საგანში, როგორებიცაა მაგალითად მუსიკა, სპორტი და ხელოვნება, ბავშვები მოსამზადებელი კლასიდან პირდაპირ რეგულარულ გაკვეთილებს უნდა დაესწრონ.

მოსამზადებელი კლასების მაკოორდინირებელი უწყებები ბერლინის რაიონებში:

## გაკვეთილი „პირველ ენაზე„ (მშობლიურ ენაზე)

ზოგიერთ სკოლაში თქვენს ბავშვს შეუძლია კვირაში ორი საათი ჰქონდეს გაკვეთილი მის პირველ (მშობლიურ) ენაზე. მოსწავლეები ამ გაკვეთილებზე სწავლობენ წერა–კითხვას მათი ოჯახის ენაზე. უპირატესობა: თუ ბავშვი მის პირველ ენას კარგად ფლობს, იგი უფრო ადვილად სწავლობს გერმანულს, სხვა უცხო ენებს და საგნებს.

პირველი ენის გაკვეთილის შესახებ ინფორმაცია და ჩაწერა:

# ბერლინის საზაფხულო სკოლები ლტოლვილებისთვის

**ახალიმიგრირებულ ბავშვებს და მოზარდებს შეუძლიათ საზაფხულო სკოლაში გაიუმჯობესონ გერმანულის ცოდნა, ბერლინი აღმოაჩინონ, სიახლეებს გაეცნონ და თანატოლებთან ერთად იყვნენ.**

## ენის სწავლის წახალისება, განათლება და მონაწილეობა.

საზაფხულო სკოლა ღიაა სააღდგომო, ზაფხულის და შემოდგომის არდადეგების პერიოდში. არსებობს ბევრი კრეატიული შეთავაზება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის მთელ ბერლინში. ბავშვები და მოზარდები იღებენ ფილმებს, მონაწილეობენ ლაშქრობებში, თამაშობენ თეატრში, უკრავენ მუსიკას, მისდევენ სპორტს, მაგალითად ფეხბურთს, ცეკვას, ველორბოლას, სკეიტბორდს ან ცოცვას.

მასწავლებლები ეხმარებიან გერმანულის სწავლაში და აწვდიან ინფორმაციას განათლების შესაძლებლობებზე და მომავლის პროფესიულ პერსპექტივებზე.

### მონაწილეობა – მაგრამ როგორ?

მონაწილეობა ნებაყოფლობითი და უფასოა მაგრამ ჩაწერის შემდეგ სავალდებულო.

ინფორმაცია და ბერლინის საზაფხულო სკოლაში ჩაწერა

## ენა და ყოველდღიურობა – კურსები მშობლებისთვის

ბერლინის სახალხო უნივერსიტეტებში არსებულ მშობელთა კურსებზე, დედებს, მამებს და აღმზრდელებს ახალიმიგრირებული ოჯახებიდან, შეუძლიათ ისწავლონ გერმანული ენა და გაეცნონ გერმანიის და ბერლინის განათლების სისტემას.

ისინი გაეცნობიან თემებს, როგორებიცაა ოჯახის და სკოლის ყოველდღიურობა, ბავშვთა აღზრდა, ჯანმრთელობა და თავისუფალი დროის აქტივობები. ამ ცოდნით თქვენ დაეხმარებით თქვენს ბავშვს მისი განათლების გზაზე.

კურსები კვირაში სამჯერ ტარდება – ძირითადად ისეთ დროს, როცა თქვენი ბავშვი სკოლაში ან ბაღშია. ზოგჯერ კურსები იგივე სკოლაში ან ბაღში ტარდება, ზოგჯერაც მათ სიახლოვეს.

ზოგიერთი კურსი მოიცავს ბავშვებზე მზრუნველობას. მეტს ამის შესახებ გაიგებთ სახალხო უნივერსიტეტებში.

გერმანულის კურსები მშობლებისთვის სკოლებსა და ბაღებში

# მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები



## ბავშვებს აქვთ თანამონაწილეობის და აზრის გამოთქმის უფლება. თავიანთ კლასში ან სასწავლო ჯგუფში ისინი ირჩევენ მოსწავლეთა წარმომადგენლებს რომლებიც წარმოადგენენ კლასის ინტერესებს სკოლასთან და სასკოლო უწყებებთან.

მოსწავლეთა მოვალეობებს მიეკუთვნება:

- სკოლაში რეგულარული სიარული,
- დროულად მოსვლა,
- სასწავლო დავალებების გაკეთება,
- საჭირო ნივთების თან ქონა,
- მონაწილეობა სპორტის და ცურვის გაკვეთილებში და ასევე
- ექსკურსიებში და კლასის მოგზაურობებში.

ისინი მეგობრულად და პატივისცემით უნდა მოექცნენ მათ თანასკოლელებს, მასწავლებლებს და სკოლის სხვა პერსონალს. ძალადობა ადამიანების ან ნივთების წინააღმდეგ არ არის ნებადართული.

ბავშვებს გერმანიაში აქვთ უფლება დაცული იყვნენ ძალადობის, უხეში მოპყრობის და დისკრიმინაციისგან. ეს ნიშნავს, მაგალითად, რომ ბავშვის ცემა დაუშვებელია.

ბავშვებს ასევე აქვთ უფლება იარონ სკოლაში. თუ მათ მშობლებს მცირე ან არანაირი შემოსავალი არ აქვთ, მათ შეუძლიათ დახმარება მიიღონ განათლების პაკეტიდან berlinpass-BuT–ის მეშვეობით.

# მშობლებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ სკოლის განვითარებაში

## გერმანიაში მათ უფლება აქვთ სკოლის ცხოვრებაში მიიღონ მონაწილეობა. ასევე სასურველია და მნიშვნელოვანია, რომ ისინი დაეხმარონ საკუთარ ბავშვებს.

### მათი აზრის გამოთქმის და მონაწილეობის უფლებები

ყველა კლასში წელიწადში სამჯერ ან ოთხჯერ იმართება მშობელთა კრება. სასწავლო წლის დაწყებისას ამ კრებაზე მშობლები ირჩევენ მშობელთა წარმომადგენლობას. მშობელთა წარმომადგენლობა წარმოადგენს მშობლების და აღმზრდელების ინტერესებს სკოლის და სასკოლო უწყებების წინაშე.

### მშობელთა საღამოები და მშობელთა კონსულტაციის  დღეები

მნიშვნელოვანია დაესწროთ რეგულარულ მშობელთა საღამოებს და მშობელთა კონსულტაციის დღეებს რათა მიიღოთ ინფორმაცია.  თუ გერმანულად კარგად არ საუბრობთ, შეგიძლიათ მოელაპარაკოთ სხვა მშობლებს და თარჯიმანი მოიყვანოთ ან კლასის მასწავლებელთან ერთად მოიფიქროთ როგორ მოგვარდეს პრობლემა.

დამატებითი ინფორმაცია სკოლაში თანამონაწილეობის შესახებ

### კლასის მასწავლებელთან საუბარი

ესაუბრეთ კლასის მასწავლებელს და სხვა მასწავლებლებს, თუ კითხვები გაქვთ, რამე ვერ გაიგეთ ან შეშფოთებული ხართ თქვენი ბავშვის გამო.  კლასის მასწავლებელი მოგაწვდით ინფორმაციას სასწავლო წლის დასაწყისში იმაზე, თუ როგორ დაუკავშირდეთ მას.

### დახმარება კომუნიკაციის პრობლემებისას

თუ გერმანულად კარგად ვერ საუბრობთ, ეძიეთ დახმარება მეგობრების და ნაცნობების წრეში.  თუ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობთ, იკითხეთ იქ ან სკოლაში, სად შეგიძლიათ მთარგმნელის პოვნა. სკოლებში არიან ასევე სოციალური მუშაკები, რომელთაც თქვენი დახმარება შეუძლიათ.  ინტეგრაციის გიდებს და კვარტლის დედებს ასევე შეუძლით თქვენი დახმარება.

### მხარდაჭერა უსახლკაროთა საცხოვრებელში ან საერთო საცხოვრებელში

თუ უსახლკაროთა ან საერთო საცხოვრებელში ცხოვრობთ, იქ მყოფი სოციალური მუშაკები დაგეხმარებიან თქვენი ბავშვის სკოლასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში.  საცხოვრებლებს აქვთ ოთახები, სადაც თქვენს ბავშვებს საშინაო დავალებების გაკეთება შეუძლიათ.

# ბერლინის სასკოლო სისტემა




აბიტურიუმი
3
ინტეგრირებული
საშუალო სკოლა
2
საერთო სკოლა
6
სკოლა
განსაკუთრებული
საჭიროებებისთვის
MSA / eBBR /
BBR
3
ინტეგრირებული
საშუალო სკოლა
2
საერთო სკოლა
6
სკოლა
განსაკუთრებული
საჭიროებებისთვის
1
დაწყებითი სკოლა
(სკოლის საწყისი ფაზით)

# ზოგადი განათლების გზები

ბერლინში ყველა ბავშვი ექვსი წლიდან დადის სკოლაში. როგორც წესი, დაწყებითი სკოლა ექვსი წელი გრძელდება. ამის შემდეგ ბავშვები გადადიან საშუალო სკოლაში. კლასის მასწავლებლები ნიშნების და ბავშვის სოციალური და სამუშაო ქცევის საფუძველზე ურჩევენ ბავშვს გააგრძელოს სწავლა გიმნაზიაში ან ინტეგრირებულ საშუალო სკოლაში.

## სასკოლო დიპლომები

→ აბიტურიუმი = უმაღლესი განათლებისთვის მზაობა
→ MSA = საშუალო სკოლის დამთავრება
→ eBBR = გაფართოებული პროფესიული განათლებისთვის მზაობა
→ BBR = პროფესიული განათლებისთვის მზაობა

დიპლომები მოზარდებისთვის, რომელთაც განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ „სწავლის“ კუთხით

- მე-10 კლასის ბოლოს
  → BOA = პროფესიულად მაორიენტირებელი დიპლომი
  → პროფესიული განათლებისთვის მზაობასთან გათანაბრებული დიპლომი

ბერლინის განათლების სისტემა

## 1 დაწყებითი სკოლა (სკოლის საწყისი ფაზით)

სკოლის საწყისი ფაზა გრძელდება როგორც წესი ორი წელი. გადასვლა საშუალო სკოლაში ხდება მე–**6** კლასის შემდეგ. შესაბამისი მოსწრების და ნიჭის შემთხვევაში შესაძლებელია შესაბამის გიმნაზიაში გადასვლა ასევე მე–**4** კლასის შემდეგ.

## 2 საერთო სკოლა

